ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი № 14

ქ. თბილისი **10.04.2017**

სხდომას ესწრებოდნენ:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ირინა აბულაძე - სსიპ - ათასწლეულის გამოწვევის ფონდის - „საქართველო" (MCA - Georgia) „მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების" პროექტის მენეჯერი, საბჭოს თავმჯდომარე;

თამარ ფხალაძე - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის წამყვანი სპეციალისტი, ისტორიკოსი, საბჭოს მდივანი.
რევაზ აფხაზავა - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის, მართვის და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;
მარინა უშვერიძე - PH-International - საქართველოს ოფისი, სამოქალაქო განათლების პროგრამის დირექტორი;

არჩილ სუმბაძე - შპს „ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა-თბილისის" აკადემიური დირექტორი;
თამარ კაპანაძე - სსიპ - თბილისი კლასიკური გიმნაზიის დირექტორი;

გიორგი გახელაძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების სკოლის მოწვეული პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლალი შაიშმელაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

თამარ ხატიაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. **შპს აპოდიქსი:**
   თეა ქოიავა-დირექტორი;
   მაია ოდიშარია-დირექტორის მოადგილე.
2. **შპს ჩაქვის წმიდა კეთილმორწმუნე მეფე დავითის სახელობის სკოლა:**
   ნესტან ტარიელაძე-დირექტორის მოადგილე;
   ნარგიზა კოპალიანი-ბუღალტერი.
3. **შპს მზეკაბანი 2:**
   ბელა გოცირიძე-დირექტორი;
   ფიქრია ფეიქრიშვილი- დირექტორის მოადგილე.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):

ლევან ღურწკაია;

იოსებ მეგრელიძე;

ქეთევან ბოტკოველი;

ავთანდილ აბდუშელიშვილი;

ლიანა კობესაშვილი;

მაკა ნადარეიშვილი;

ნოდარ ანგურიძე;

სერგო დურგლიშვილი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანამანთლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს წევრი რევაზ აფხაზავა.
სხდომისთავმჯდომარემ სხდომა გახსნა 15:20 საათზე, შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილი იყო, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. შპს აპოდიქსის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ჩაქვის წმიდა კეთილმორწმუნე მეფე დავითის სახელობის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს ხულოს წმინდა აბუსერიძე ტბელის სახელობის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. მზეკაბანი 2-ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. ა(ა)იპ- საქართველოს საპატრიარქოს წმინდა იოანე ბოლნელის სახელობის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ლალი შაიშმელაშვილმა ავტორიზაციის საბჭოს მიმართა შუამგომლობით დღის წესრიგთან დაკავშირებით და განაცხადა რომ შპს ხულოს წმინდა აბუსერიძე ტბელის სახელობის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა დაწესებულების წარმომადგენელთა თხოვნით გადადებულიყო საბჭოს შემდეგი სხდომისთვის.

ავტორიზაციის საბჭო ერთხმად დაეთანხმა აღნიშნულ შუამდგომლობას. შესაბამისად, საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის შეცვლილი დღის წესრიგი.

1. შპს აპოდიქსის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა ლევან ღურწკაიამ და იოსებ მეგრელიძემ, მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები თითოეულ სტანდარტთან მიმართებით.

1.1 **საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით** ექსპერტმა ლევან ღურწკაიამ აღნიშნა რომ:

ა) დაწესებულების სასწავლო გეგმისა და საგანმანათლებლო პროგრამების თავისებურებების შესწავლამ აჩვენა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმის ყველა კომპონენტი გამომდინარეობდა სკოლის მისიიდან და შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას.

ბ) სკოლაში ფუნქციონირებდა 7 საგნობრივი ჯგუფი, კათედრა. საგნობრივი ჯგუფები, საგნობრივი კომპეტენციების მიხედვით აერთიანებდა, როგორც სავალდებულო, ისე არჩევით საგნებს. სკოლაში არსებული ყველა კათედრის მუშაობა ასახული იყო პორტფოლიოებში, რომელიც, მოიცავდა: კათედრის საქმიანობის სტრატეგიულ გეგმას, ძირითადი სახელმძღვანელოების ჩამონათვალს, შეფასების რუბრიკებს, შესრულებულ დავალებებს, შემაჯამებელ სამუშაოებს და მათ ანალიზს, კათედრის წევრთა შეხვედრების გრაფიკს, კათედრების სხდომების ოქმებს, მოსწავლეთა წარმატების ამსახველ დოკუმენტაციას, მოსწავლეთა განმსაზღვრელ-განმავითარებელი შეფასების ნიმუშებს, მასწავლებლთა პორტფოლიოებს, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით დაგეგმილ ღონისძიებებს, კათედრის გამგის შეფასების სქემას, გაკვეთილის შეფასების ინდიკატორებს, კათედრის გამგის ანგარიშს.

გ)დაწესებულებას სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი ჰქონდა მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შეფასების პრინციპები. სასწავლო გეგმის მიხედვით, მასწავლებლები ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად იყენებდნენ განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასების ტიპებს. დაწყებით საფეხურზე შეფასება ხორციელდებოდა მხოლოდ განმავითარებელი შეფასების ფორმით.

დ) წლის დასაწყისშიშეფასების სისტემას მოსწავლეებსა და მათ მშობლებს აცნობედნენ კლასის დამრიგებლები და საგნის მასწავლებლები, ცალკეული საგნების შეფასების რუბრიკები გამოკრული იყო საკლასო ოთახებში და მასწავლებელი მოსწავლის შეფასებისას ეყრდნობოდა ამ სქემებს. წლის ბოლოს ყველა მასწავლებელი თითოეული მოსწავლისათვის ქულასთან ერთად, წერდა როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას.

1.2 **მატერიალურ რესურსთან მიმართებით** ექსპერტ ლევან ღურწკაიას განმარტებით დაწესებულება აკმაყოფილებდა მატერალური სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს. კერძოდ:

ა) შპს „აპოდიქსი" ფუნქციონირებდა ქ. სენაკში ჭავჭავაძის ქ. N 55 მდებარე ორსართულიან შენობაში. შენობის მესაკუთრე იყო სსიპ თვითმმართველი თემი სენაკის მუნიციპალიტეტი, რომლისგანაც შენობა უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებით გადაცემული ჰქონდა ა.ი.პ. სკოლამდელი აღზრდის გაერთიანებას. აღნიშნული გაერთიანებისაგან კი შპს აპოდიქსს 2016 წლის 29 დეკემბრიდან 2022 წლის 29 დეკემბრის ჩათვლით იჯარის ხელშეკრულებით გადაეცა 887.19 კვ.მ ფართი. ასევე, მიმდინარეობდა 2545 კვ.მ მიწის ნაკვეთის იჯარით გადმოცემის პროცესი.

ბ) სკოლაში იყო 12 საკლასო ოთახი, რომელიც აღჭურვილი იყო 206 ერთადგილინი მერხითა და 233 სკამი. გარდა ამისა, საკლასო ოთახები აღჭურვილი იყო მასწავლებლის მაგიდით, სკამით, დაფებით და სასწავლო პროცესის დამხმარე თვალსაჩინოებებით.

გ) სკოლის მიერ არჩეული სპორტის სახეობების (მინი ფეხბურთი, ჭადრაკი და ფრენბურთი), შესაბამისად სკოლასშენობის პირველ სართულზე, ჰქონდა 78 კვ.მ. ფართის დარბაზი ასევე, - სკოლის ეზოში 330კვ.მ ფართი სპორტული მოედნებისათვის.
დ) სკოლას ჰქონდა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების აღჭურვილობები (ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგია-ანატომიის), ლაბორატორია განთავსებული იყო ცალკე საკლასო ოთახში, რომელსაც ჰქონდა ფანჯარა. თუმცა ლაბორატორიის ნაწილი იყო დაზიანებული და საჭიროებდა აღდგენას. ასევე გამოიყენებოდა ვირტუალურ ლაბორატორიაც.

საბჭოს წევრი მარინა უშვერიძე დაინტერესდა კომპიუტერების რაოდენობით. ექსპერტის განცხადებით, სკოლას ჰქონდა სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი 10 კომპიუტერი და დამატებით 2 კომპიუტერი ადმინისტრაციის სარგებლობაში.

1.3. **ადამიანურ რესურსთან მიმართებით** ექსპერტმა იოსებ მეგრელიძემ აღნიშნა, რომ სკოლას ჰყავდა სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი: დირექტორი, დირექტორის მოადგილე სასწავლო და აღმზრდელობით დარგში, ხარისხის მართვის მენეჯერი, ფინანსური მენეჯერი, მასწავლებლები, საქმისმწარმოებელი, ინფომენეჯერი, ბიბლიოთეკარი, ექიმი, დარაჯი, დამლაგებელი.

სკოლას ჰყავდა 23 მასწავლებელი, რომელთაგანაც 5 იყო უფროსი ხოლო 16 პრაქტიკოსი. სკოლის ყველა მასწავლებელს ჰქონდა იმ საგნის შესაბამისი კვალიფიკაცია, რომელსაც ასწავლიდა. ვიზიტის დროს სკოლის 13 მასწავლებელი არ იყო ჩართული მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში. სკოლას გაგზავნილი ჰქონდა მიმართვა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრისათვის მასწავლებელთა სქემაში ჩართვის თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 200 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

საბჭომ იმსჯელა შპს აპოდიქსის საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ იგი აკმაყოფილებდა

ავტორიზაციის სამივე სტანდარტს. შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს აპოდიქსის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 200-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს აპოდიქსის (ს/კ:239869415) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 200-ით.

2. შპს ჩაქვის წმიდა კეთილმორწმუნე მეფე დავითის სახელობის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა ქეთევან ბოტკოველმა და ავთნდილ აბდუშელიშვილმა, მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები თითოეულ სტანდარტთან მიმართებით.

2.1 **საგანამანათლებლო პროგრამებთან მიმართებით** ექსპერტმა ქეთევან ბოტკოველმა აღნიშნა, რომ:

ა) სასკოლო სასწავლო გეგმა ემსახურებოდა სკოლის მისიის და მიზნების შესრულებას, რაც დასტურდებოდა სკოლის დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების თემატიკით, სადამრიგებლო პროგრამით და მასწავლებელთა სასწავლო თემატური გეგმებით.

ბ) სკოლის სპეციფიკის გათვალისწინებით, ისწავლებოდა ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანი "საღვთო სჯული": I-II კლასებში - 2 საათი; III-VIII კლასებში -3 საათი; IX კლასში -2 საათი; X-XI კლასებში - 3 საათი; XII კლასში - 2 საათი. აღნიშნულ საგანში განმსაზღვრელი შეფასება არ იწერებოდა. სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი იყო საგნის სწავლების მიზნები და ამოცანები, სასწავლო პროგრამა და თემატური გეგმა.

გ) სასკოლო სასწავლო გეგმის თანახმად, სკოლამ 2016-2017 სასწავლო წელს მოსწავლეებს, მათი ინტერესის გათვალისწინებით, შესთავაზა შემდეგი არჩევითი საგნები: X კლასში-მსოფლიო კულტურა; XI კლასში-სახელმწიფო და სამართალი და XII კლასში-სამედიცინო ბიოლოგია და ჯანმრთელობა.

დ) წარმოდგენილი 2016-2017 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის შესწავლის და სასწავლო ნაწილის გამგის პორტფოლიოში წარმოდგენილი ანგარიშების, კათედრების ხელმძღვანელების და მასწავლებლების პორტფოლიოების გაცნობის, და მოსწავლეებთან, მშობლებთან და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დგინდებოდა რომ სკოლა ზრუნავდა სამივე საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნების დაკმაყოფილებისა და მათთვის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მიცემაზე.

ე) სკოლა დაწყებითი კლასების მოსწავლეებს, მათი საჭიროებისა და მშობელთა სურვილის შესაბამისად, სთავაზობდა გახანგრძლივებულ მომსახურებას, მეცადინეობა ტარდებოდა კვირაში 5 დღე.

ვ) მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, სკოლას გაძლიერებული ჰქონდა საბუნებისმეტყველო საგნების - გეოგრაფიის, ინგლისურის და მათემატიკის სწავლება. სკოლაში ასევე შექმნილი იყო 4 კლუბი: სამოქალაქო განათლების კლუბი "ფილოფეტი"; "ნორჩი რეინჯერის" კლუბი; ისტორიის მოყვარულთა კლუბი; ახალგაზრდა მწერალთა და მკითხველთა კლუბი. სკოლამ წარმოადგინა კლუბების სამუშაო გეგმები, პროგრამები და კლუბების ფარგლებში ჩატარებული ღონისძიებების ამსახველი დოკუმენტაცია და ფოტო მასალა.

ზ) სასკოლო სასწავლო გეგმის მე-5 მუხლით განსაზღვრული იყო მოსწავლის შეფასების მიზანი, პრინციპები, მიდგომები და აკადემიური მიღწევის შეფასების წესები. ასევე, განსაზღვრული იყო გაცდენილი შემაჯამებლი დავალებების აღდგენის ვადები და პირობები, სასკოლო შიდა გამოცდების და საშემოდგომო გამოცდების ჩატარების პერიოდი.

2.2 **მატერიალურ რესურსის სტანდარტთან მიმართებით** ექსპერტმა ავთანდილ აბდუშელიშვილმა აღნიშნა, რომ შპს ჩაქვის წმიდა კეთილმორწმუნე მეფე დავითის სკოლა მდებარეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ჩაქვში თამარ მეფის №77-ში სკოლა განთავსებული იყო ოთხსართულიან შენობა-ნაგებობაში, თუმცა საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, სკოლა ფლობდა შენობის მხოლოდ 3 სართულზე არსებულ 1884.15 კვ.მ ფართს. გასაუბრებით დადგინდა, რომ შენობის მეოთხე სართული (საერთო ფართი 450კვ.მ), რომელზეც განთავსებული იყო სკოლის ბიბლიოთეკა და სააქტო დარბაზი, ტექნიკური მიზეზების გამო არ იყო საჯარო რეესტრში რეგისტრირებული. შენობის პირველ სართულზე მდებარე 3 ოთახი გაქირავებული იყო მუსიკალურ სკოლაზე, რომელიც 16.00 საათზე იწყებდა მუშაობას, ამასთან ხელშეკრულება გაფორმებული იყო 2017 წლის 1მაისამდე ა და გაგრძელებას აღარ ექვემდებარებოდა.

საბჭოს წევრი არჩილ სუმბაძე დაინტერესდა, თუ რატომ არ იყო რეესტრში გატარებული მეოთხე სართულის ფართი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეს უკავშირდებოდა საპატრიარქოს იურისტის ადგილზე არ ყოფნას და აღნიშნული ხარვეზი უახლოეს მომავალში გამოსწორდებოდა.

ექსპერტმა ავთანდილ აბდუშელიშვილმა საბჭოს გააცნო დაწესებულების მატერიალური ბაზა, კერძოდ, სკოლაში იყო 12 საკლასო ოთახი, ბიბლიოთეკა, დირექტორის კაბინეტი, სამასწავლებლო, კომპიუტერების ოთახი, სპორტის ოთახი, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, მუსიკის კაბინეტი, ექიმის კაბინეტი, ბუღალტრის კაბინეტი, საქმეთა მმართველის კაბინეტი და სასადილო.

საკლასო ოთახები აღჭურვილი იყო მასწავლებლის მაგიდებით, დაფებით, 230 ერთადგილიანი, 3 ორადგილიანი მერხითა და 234 სკამით. სკოლის საწყობში ინახებოდა 70 ერთეული მერხი და 80 ერთეული სკამი, მაგრამ არსებული შესყიდვის დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად, სკოლას უდასტურდებოდა, მხოლოდ 175 ინდივიდუალური მერხის და 184 სკამის ფლობა სკოლის დირექციასთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ სკოლას ჰქონდა მხოლოდ ბოლო წლებში შეძენილი ინვენტარის ზედნადებები, რადგან 2012 წელს სკოლის მესამე სართულზე გაჩენილი ხანძრის შედეგად განადგურებული იყო იმ პერიოდისთვის არსებული მთელი დოკუმენტაცია. ამჟამად სკოლა ფლობდა 303 მერხს, და 314 სკამს (რომელიც საკლასო ოთახებში იყო დასაწყობებული).

სკოლა სპორტის გაკვეთილებისათვის იყენებდა პირველ სართულზე არსებულ სპორტის ოთახსა და სკოლის მომიჯნავედ არსებულ ფრენბურთის მოედანს.

2.3 **ადამიანურ რესურსის სტანდარტთან მიმართებით** აღინიშნა რომ, ადამიანური რესურსთან დაკავშირებით დაწესებულებაში არანაირი ხარვეზი არ დაფიქსირებულა. სკოლას ჰყავდა სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი. ვიზიტის განხორციელების დროს სკოლაში ირიცხებოდა 210 მოსწავლე. სკოლის საშტატო განრიგის მიხედვით, სკოლაში იყო 39 თანამშრომელი, მათგან 25 პედაგოგი. სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად სკოლის დირექცია შედგებოდა 5 წევრისგან: დირექტორი, დირექტორის 3 მოადგილე და სკოლის ბუღალტერი.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შპს ჩაქვის წმიდა კეთილმორწმუნე მეფე დავითის სახელობის სკოლის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია. სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 300 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ჩაქვის წმიდა კეთილმორწმუნე მეფე დავითის სახელობის სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 300-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ჩაქვის წმიდა კეთილმორწმუნე მეფე დავითის სახელობის სკოლას (ს/კ:245443006) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300-ით.

15:45 წუთზე სხდომას შემოუერთდა საბჭოს თავმჯდომარე ირინა აბულაძე.

3. შპს მზეკაბანი 2-ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა ლიანა კობესაშვილმა და მაკა ნადარეიშვილმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები თითოეულ სტანდარტთან მიმართებით.

3.1 **საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით** აღინიშნა:

ა) ვიზიტის პერიოდში შესწავლილი იქნა სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი. წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის მიხედვით: სკოლის საათობრივი ბადე აზუსტებდა სწავლების სამივე საფეხურზე ყველა საგნის სწავლების გაკვეთილების განრიგს დღეებისა და კლასების მიხედვით, საგნის მასწავლებლის ვინაობის, გაკვეთილების დაწყება-დამთავრებისა და გაკვეთილებს შორის დასვენებების ხანგრძლივობას, შემაჯამებელი დავალებების რაოდენობას, რომელიც კლასების მიხედვით ემთხვეოდა ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შემაჯამებელი დავალებების მინიმალურ რაოდენობას;

ბ) ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად შედგენილი იყო საათობრივი ბადე, რომლის მიხედვითაც გათვალისწინებული იყო ყველა საგნის შესწავლა. არჩევით საგნად X, XI კლასში შეთავაზებული იყო მეწარმეობა და ქიმიური ტექნოლოგიები მე-12 კლასში, სპორტის სახეობებიდან კი- მაგიდის ჩოგბურთი, ფრენბურთი და ჭადრაკი;

გ) დაწესებულება, მისიიდან გამომდინარე, მოსწავლეებს სთავაზობდა დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას შემდეგ საგნებში:

ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (II, III, IV კლასები)- სავალდებულო; წიგნიერება (VI, VII, VIII, IX კლასები)- სავალდებულო.
გ) დაწესებულებას სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტით განსაზღვრული ჰქონდა შეფასების პოლიტიკა, რომელშიც განსაზღვრული იყო მოსწავლის შეფასების მიზანი, პრინციპები და მიდგომები. მოსწავლეთა შეფასების სისტემა მოიცავდა ქულების გამოანგარიშების წესს, სემესტრული/წლიური შეფასების პრინციპებს. გაწერილი იყო მოსწავლეთა შეფასების სისტემა, შეფასების ზოგადი და კონკრეტული სქემები.

დ) დაწესებულება გეგმავდა შემდეგი ხუთი საგნობრივი კათედრის ფუნქციონირებას:

1. ჰუმანიტარული მეცნიერებების კათედრა (ქართული ენა და ლიტერატურა და უცხოური ენები);

2. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა (ისტორია, ჩვენი საქართველო, სამოქალაქო განათლება, სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება, გეოგრაფია, საგზაო წესები და მოძრაობის უსაფრთხოება);

3. ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია, მათემატიკა, საბუნებისმეტყველო მეცნიერების საფუძვლები, ბუნებისმეტყველება, ისტ-ი, ქიმიური ტექნოლოგიები);

4. დაწყებითი კლასების კათედრა;

5. სპორტისა და ესთეტიკის კათედრა (სპორტი, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება).

3.2 **მატერიალურ რესურსთან მიმართებით** აღინიშნა, რომ:

ა) სკოლა განთავსებული იყოქალაქ რუსთავში გ. ნიკოლაძის ქ. N16 ა-ში. ორსართულიან შენობაში. შპს მზეკაბან-ს შპს მზეკაბანი 2-სთვის სკოლას 6 წლის ვადით.იჯარით ჰქონდა გადაცემული 1293 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობება საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, უძრავი ნივთის იჯარის ხელშეკრულების დამოწმების თარიღი იყო 12.12.2016 წელი. ვიზიტის შედეგად დადგინდა რომ სკოლა განთვსებული იყო ორსართულიანი შენობის მხოლოდ მეორე სართულზე, ხოლო პირველ სართულზე განთავსებული იყო საბავშო ბაღი. საბავშვო ბაღსა და სკოლას ჰქონდა საერთო შესასვლელი და მათი ფართი არ იყო გამიჯნული.

ბ) დაწესებულებას ჰქონდა ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო, ექთნის ოთახი, კომპიუტერული კლასი და 12 საკლასო ოთახი, მათგან ერთ საკლასო ოთახში განთავსებული იყო საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია საკლასო ოთახები აღჭურვილი იყო 149 ერთადგილიანი მერხითა და სკამით და 7 ორადგილიანი მერხითა და სკამით. 10 ერთდგილიანი და 4 ორადგილიანი მერხი თავისი სკამით იყო დასაწყობებული . ჯამში დაწესებულებას ჰქონდა 159 ერთდგილიანი და 11 ორადგილიანი მერხი და სკამი.

გ) დაწესებულებას ეზოში ჰქონდა ღია სპორტული მოედანი ფრენბურთის ბადით, 2 მაგიდის ჩოგბურთის მაგიდა, 7 ჭადრაკის დაფა, სპორტული დარბაზი დაწესებულებას არ ჰქონდა, თუმცა მას სპორტული დარბაზის ფართით სარგრლობიდ თაობაზე 1 წლის ვადით ჰქონდა გაფორმებული უძრავი ქონების იჯარის ხელშეკრულება საქართველო-უკრაინის სოციალური ურთიერთობის ინსტიტუტთან.

3.3 **ადამიანურ რესურსთან მიმართებით** ექსპერტმა მაკა ნადარეიშვილმა აღნიშნა:
ა) სკოლაში იყო 33 თანამშრომელი. მათგან 22 მასწავლებელი და 5 დირექციის წარმომადგენელი-დირექტორი, დირექტორის მოადგილე ხარისხის მართვის მენეჯერი, დირექტორის მოადგილე აღმზრდელობით დარგში, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, ფინანსური მენეჯერი, 7 ადმინისტრაციის თანამშრომელი. მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა ძირითადად შეესაბამებოდა საათობრივი ბადითა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. გამონაკლისს წარმოადგენდა ქართული ენისა და ლიტერატურის და ინგლისური ენის მასწავლებელი, რადგან საათობრივი დატვირთვის მიხედვით დაწესებულება საჭიროებდა ორ-ორ მასწავლებელს ქართულ ენასა და ლიტერატურაში და ინგლისურ ენაში, თუმცა წინასწარი ხელშეკრულება გაფორმებული იყო მხოლოდ ერთ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთან და ერთ ინგლისური ენის მასწავლებელთან. დაწესებულებას გამოცხადებული ქონდა თითო-თითო ვაკანსია ქართული ენისა და ლიტერატურის და ინგლისური ენის მასწავლებლის პოზიციაზე.
ბ) დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მონაცემებით, 22 პედაგოგიდან 14-ს ჰქონდა პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსი, 5-ს - უფროსი მასწავლებლის, 2 მასწავლებელს კი ჩაბარებული ჰქონდა

საგნისა და პროფესიული უნარების დამადასტურებელი გამოცდა 2014 წლამდე, რაც დასტურდებოდა შესაბამისი სერტიფიკატებით.

საბჭოს თავმჯდომარემ ირინა აბულაძემ მიმართა ექსპერტებს, ვიზიტის დროს თუ შეისწავლეს ამ დაწესებულების შესახებ წარმოდგენილი წინა დასკვნები. ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ მოხდა წინა დასკვნის შესწავლა, რომლის მიხედვითაც პრობლემები იყო მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით. მათი განმარტებით, ამჟამად დაწესებულებას ეს პრობლემები აღმოფხვრილი ჰქონდა და საავტორიზაციო განაცხადი წარმოდგენილი ჰქონდა, როგორც ახალ დაფუძნებულ ორგანიზაციას.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს, დაედასტურებინათ რომ სკოლას ფუნქციონირების დასაწყებად პრობლემა არ გააჩნდა. ექსპერტებმა დაადასტურეს რომ სკოლა მზად იყო საქმიანობის განხორციელებისთვის. საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შპს მზეკაბანი 2-ის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის ყველა სტანდარტი დაკმაყოფილებული იყო.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 160 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას არ დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები, მათ აღნიშნეს რომ საკლასო ოთახების ფართი არ იძლეოდა 140 მოსწავლეზე მეტის განთავსების საშუალებას.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მზეკაბანი 2-ის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 140-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს მზეკაბანი 2-ს (ს/კ: 416306143) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 140-ით.

საბჭოს თავმჯდომარემ ირინა აბულაძემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და განუმარტა, რომ ვინაიდან შპს მზეკაბანი 2 წარმოადგენდა ახალად რეგისტრირებულ იურიდიული პირს, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას ცენტრი განახორციელებდა მონიტორინგს.

4. (ა)იპ- საქართველოს საპატრიარქოს წმინდა იოანე ბოლნელის სახელობის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ დაწესებულების წარმომადგენელს აგვიანდებოდა, სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა იცნობდა თუ არა დაწესებულება ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და ჰქონდათ თუ არა რაიმე კომენტარი. დაწესებულების წარმომადგენელმა, სატელეფონო კავშირის მეშვეობით, დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. ასევე, აღნიშნა, რომ სატრანსპორტო შეფერხების გამო აგვიანდებოდა მოსვლა და ითხოვა საკითხის განხილვა დაეწყოთ მის გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ საქმის მასალები, თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა ნოდარ ანგურიძემ და სერგო დურგლიშვილმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები თითოეულ სტანდარტთან მიმართებით.

4.1 **საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით** აღინიშნა:

ა) დაწესებულების სასწავლო გეგმისა და საგანმანათლებლო პროგრამების თავისებურებების შესწავლამ აჩვენა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმის ყველა კომპონენტი გამომდინარეობდა სკოლის მისიიდან და შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას.

ბ) სასკოლო სასწავლო გეგმის საათობრივი ბადე ითვალისწინებდა ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ ყველა აუცილებელ დატვირთვას, ამასთან სავალდებულო საგნის სტატუსით I-XII კლასებში დამატებული იყო „საღვთო სჯული", მათ შორის I-IX კლასებში - კვირაში 2 საათიანი დატვირთვით, ხოლო X-XII კლასებში - კვირაში 1 საათიანი დატვირთვით. გარდა ამისა სავალდებულო იყო ასევე ძველი ქართული ენის შესწავლა V-VII კლასებში, კვირაში 1 საათი და ზოგადი უნარები X-XII კლასებში - კვირაში 1 საათიანი დატვირთვით. თითოეული დამატებითი საგნისათვის სკოლამ წარმოადგინა სასწავლო გეგმა, შეფასების პირნციპები - ჩათვლა/არ ჩათვლა.

გ) დამატებითი საგანმანათლებლო არასავალდებულო (ფაკულტატური) მომსახურების სტატუსით სკოლაში ფუნქციონირებდა შემდეგი წრეები:

1. ქართული ხალხური გალობისა და სიმღერის წრე;
2. ძველი ქართული ენის შემსაწავლელი წრე
3. ხატვის წრე.
4. მათემატიკის წრე (V-VI)
5. ინგლისური ენის შემსწავლელი წრე (V-VI)
6. რუსული ენის შემსწავლელი წრე (V-VI)

7. ლიტერატურული კლუბი.
8. ინტელექტ კლუბი რა?სად?როდის?
9. ეკო-კლუბი –,,დედამიწის ქომაგები.

წრეების მუშაობის შეფასება მდებოდა სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზება-მონაწილეობით.

დ) სკოლის I-IVკლასებისთვის ფუნქციონირებდა გახანგრძლივებული ჯგუფი, რომელიც ეხმარებოდა მოსწავლეებს საშინაო დავალების მომზადებაში, გარდა ამისა, ამ ჯგუფებში ჩართულნი იყვნენ ის მოსწავლეებიც, რომლებიც გაკვეთილისთვის მოუმზადებელი მოდიოდნენ ამ საგნის მასწავლებელს უფლება ჰქონდა დაეტოვოს მოსწავლე გახანგრძლივებულ ჯგუფში ჩამორჩენის ასანაზღაურებლად მშობელთან შეთანხმების საფუძველზე.

ე) სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, მოსწავლეს, რომელიც გააცდენდა შემაჯამებელ დავალებას და არ წარმოადგენდა გაცდენის საპატიოობის დამადასტურებელ ცნობას, ან და მშობელი არ დაწერდა გაცდენის მიზეზის ახსნა-განმარტებას, არ ეძლეოდა შემაჯამებლის აღდგენის უფლება. აღნიშნული ხარვეზისკოლამ ექსპერტთა რეკომენდაციის საფუძველზე ვიზიტის პერიოდშივე გამოასწორა და სასკოლო სასწავლო გეგმაში შეიტანა შესაბამისი ცვლილება.

ე) სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახულია სკოლის შეფასების სისტემა. წარმოდგენილი შეფასების სისტემა შესაბამისობაში იყო ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. ვიზიტისას დაწესებულებას რეკომენდაცია მიეცა შემაჯამაბელი დავალებების ანალიზის პროცესის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.

4.2 **მატერიალურ რესურსთან მიმართებით** აღინიშნა, რომ:

ა) დაწესებულება მდებარეობდა ქალაქ ბოლნისში, პეტრე-იბერის ქუჩა N3- ში განთავსებულ შენობაში, რომლის ფართი შეადგენდა 621,8 კვ.მ. (I სართულის ფართი 278,3 კვ.მ. II სართულის ფართი 286,3 კვ.მ. და მანსარდის ფართი 57,2 კვ.მ.) ქონების მესაკუთრე იყო სსიპ თვითმმართველი თემი ბოლნისის მუნიციპალიტეტი (ს/კ 225393963), რომელმაც აღნიშნული ქონება უზუფრუქტით გადასცა საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართმადიდებელ ეკლესიას, ეკლესიამ კი აღნიშნული ქონება იჯარის ხელშეკრულებით უსასყიდლოდ, გადასცა სკოლას, მოიჯარის ლიკვიდაციამდე ვადით.

ბ) დაწესებულებას ჰქონდა 15 საკლასო ოთახი, რომელიც აღჭურვილი იყო ერთადგილიანი ინდივიდუალური მერხებითადა სკამებით სულ 210 მოსწავლეზე გათვლილი. საკლასო ოთახებში განთავსებული იყო მასწავლებლის მაგიდა, სკამი, დაფა და სხვა აუცილებელი ავეჯი. გარდა ამისა, დაწესებულებაში იყო კიდევ 6 ოთახი რომელსაც, იყენებენ სხვადასხვა დანიშნულებით: ადმინისტრაციის ოთახები, კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო.

გ) სკოლას ჰქონდა საკუთარი სივრცე სპორტის გაკვეთილის ჩასატარებლად. ღია სპორტული მოედანი (160 კვ. მ.), რომელიც განთავსებული იყო სკოლის ეზოში და აღჭურვილი იყო ფრენბურთისათვის საჭირო ინვენტარით, ასევე, დარბაზი (57,2 კვ.მ) შენობის მანსარდაზე, რომელიც აღჭურვილი იყო ჩოგბურთის მაგიდით.

დ) სკოლას არ ჰქონდა კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავებული საევაკუაციო გეგმა. თუმცა დაწესებულებამ მოიყვანა სპეციალისტები და ვიზიტის პერიოდშივე მოხდა აღნიშნული ხარვეზის გამოსწორება. ასევე ვიზიტის პერიოდში მოხდა ცეცხლმაქრების შემოწმება და დატუმბვა.

4.3 **ადამიანურ რესურსთან მიმართებით** აღინიშნა:

ა) სკოლაში ირიცხებოდა 34 თანამშრომელი. მათგან, 25 იყო მასწავლებელი. ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი შედგებოდა 8 ადამიანისაგან, მათგან 2 იყო მასწავლებელი, ხოლო 3 წრის ხელმძღვანელი. სკოლის ადამიანური რესურსი შესაბამისი და საკმარისი იყო სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის განსახორციელებლად.

ბ) სკოლის პედაგოგები შერჩეულნი იყვნენ ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. სკოლას ჰყავდა 18 პრაქტიკოსი, 4 უფროსი და 1 წამყვანი მასწავლებელი. 2 პედაგოგს არა ჰქონდა მინიჭებული სქემით განსაზღვრული სტატუსი, თუმცა მათ შესაბამისი კვალიფიკაცია ჰქონდათ მინიჭებული.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან ა(ა)იპ- საქართველოს საპატრიარქოს წმინდა იოანე ბოლნელის სახელობის სკოლის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის ყველა სტანდარტი დაკმაყოფილებული იყო.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს წარმოედგინათ შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, დაწესებულების არსებული რესურსების გათვალისწინებით. ავტორიზაციის ექსპერტებმა განმარტეს, რომ არსებული რესურსებით დაწესებულებას საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 210 მოსწავლისთვის.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ- საქართველოს საპატრიარქოს წმინდა იოანე ბოლნელის სახელობის სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 210-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად ა(ა)იპ- საქართველოს საპატრიარქოს წმინდა იოანე ბოლნელის სახელობის სკოლის

(ს/კ: 225398272) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 210-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ 17:00 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე

ირინა აბულაძე

რევაზ აფხაზავა

მდივანი

თამარ ფხალაძე